საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1112 2013 წლის 22 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) ქალაქ ზუგდიდში დაგეგმილია შ. ხუბულავას ქუჩის რეაბილიტაცია, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 3 900 000 (სამი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარს;

ბ) აღნიშნული პროექტიდან 1 200 000 ლარი ფინანსდება „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (WB)“ ფარგლებში, რომლის პირობების მიხედვით თანხის 50%-ი (600 000 ლარი) დაფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ, რომელიც სესხის სახით უნდა გადაეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, 30%-ს (360 000 ლარი) აფინანსებს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ხოლო 20% უნდა დააფინანსოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა;

გ) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დარჩენილი ნაწილი -

2 700 000 ლარი უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. უფლება მიეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ქ. ზუგდიდში დაგეგმილი შ. ხუბულავას ქუჩის რეაბილიტაციის მიზნით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აიღოს სესხი 600 000 ლარის ოდენობით.

3. პროექტის განსახორციელებლად 2013 წელს საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს 1 040 000 ლარი, მათ შორის:

ა) სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარები ფონდისათვის - 800 000 ლარი;

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის- 240 000 ლარი.

4. სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამ განკარგლების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირ-ებული სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

5. საქართველოს ფინანსთა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა „საქართველოს 2014 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გაითვალისწინონ 2014 წელს პროექტის დასრულებისათვის საჭირო თანხები.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი